# 8 8   წ ე ლ ი   თ ქ ვ ე ნ თ ა ნ   ე რ თ ა დ !

**88 წლის წინ, 1933 წლის 2 აპრილს გამოვიდა გაზეთების: „თერჯოლის“, „წინსვლის“ და „საკოლმეურნეო სოფლის“ წინამორბედის, გაზეთ „ჩხარის კოლმეურნის“ პირველი ნომერი.**





„არს მთის კალთას, სკანდას, სასახლე მეფეთა და ციხე დიდი, დიდშენი“
**ვახუშტი ბაგრატიონი**

# თერჯოლა

საზოგადოებრივი გაზეთი ● გამოდის 1933 წლიდან ● №18 {7047) 28 სექტემბერი 2021 წელი ● www. Terjola. gov. ge

## ა რ ჩ ე ვ ა ნ ი   ჩ ვ ე ნ ზ ე ა !

***სულ რამდენიმე დღეც და 2 ოქტომბერს სრულიად საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის მორიგი არჩევნები გაიმართება.***

***საყურადღებოა, რომ ამ არჩევნებს ოპოზიცია სარეფერენდუმო დატვირთვას ანიჭებს, მმართველი პარტია კი აცხადებს, რომ ადგილობრივ არჩევნებს ქართული კანონმდებლობით სარეფენდუმო უფლებამოსილება მინიჭებული არა აქვს და მისი შედეგები ვერცერთი პროცენტული თანაფარდობის შემთხვევაში ვერ იქნება სხვა გადაწყვეტილების მიღების საფუძველი, გარდა ადგილობრივ მმართველობაში წარმომადგენლების და მერების არჩევისა.***







რაც შეეხება წინასაარჩევნო ვითარებას თერჯოლაში, იგი საკმაოდ მშვიდია და პროცესები ექსცესების გარეშე მიმდინარეობს.

საოლქო-საარჩევნო კომისიაში კანდიდატებთან დაკავშირებით ყველაფერი გარკვეულია. ჩვენი ამ გაზეთის მე-3, მე-6 გვერდებზე, თქვენ შესაძლებლობა გაქვთ გაეცნოთ ყველა იმ კანდიდატს, რომელიც №49 თერჯოლის საოლქო-საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებულმა თერთმეტმა პარტიულმა სუბიექტმა და საინიციატივო ჯგუფებმა დაასახელეს რჩეულად თერჯოლის მუნიციპალიტეტის მმართველობაში ასარჩევად.

მკითხველს კიდევ ერთხელ შევახსენებთ, რომ თერჯოლის მუნიციპალიტეტში, 2 ოქტომბრის არჩევნებში, ამომრჩეველი ირჩევს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს შემადგენლობას, რომელიც განსაზღვრულია 30 წევრის რაოდენობით, აქედან 10 მაჟორიტარი და 20 პროპორციული სიით (პარტიული სიებით გასული კანდიდატები დგინდება პარტიული სიების მიხედვით მიღებული ხმების პროცენტული პროპორციით).

რაც შეეხება მუნიციპალიტეტის მერობის კანდიდატებს—ამ თანამდებობაზე კენჭს საბოლოოდ იყრის მხოლოდ 2 კანდიდატი: მოქმედი მერი, **ლაშა გოგიაშვილი,** რომელიც წარადგინა „ქართულმა ოცნებამ“ და **ბეჟან (ზურაბ) ბუცხრიკიძე**, დამოუკიდებელი კანდიდატი, რომელიც წარადგინა საინიციატივო ჯგუფმა.

**წარმატებებს ვუსურვებთ ამ არჩევნებში მონაწილე სუბიექტებს, ამომრჩევლებსა და ასარჩევ კანდიდატებს. იმედი დავიტოვოთ, რომ არჩევნებიც და არჩევნების შემდეგი დღეებიც თერჯოლის მუნიციპალიტეტში კვლავ იქნება გამორჩეულად მშვიდი, ხოლო არჩეული კანდიდატები და მათი ოპონენტები გააგრძელებენ საქმიან თანამშრომლობას თერჯოლის წარმატებისა და განვითარებისათვის...**

**„თერჯოლა“**

**ა ხ ა ლ   ს ა ს წ ა ვ ლ ო   წ ე ლ ს   გ ი ლ ო ც ა ვ თ !** ☞2

**ვინ გახდება თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატი?** ☞3,6

## 27 სექტემბერი სოხუმის დაცემის დღეა!

## გვახსოვდეს აფხაზეთი— ჩვენი მოუშუშებელი იარა!

**თერჯოლაში მცხოვრებ დევნილებს აფხაზეთის მთავრობის მეთაური ეწვია...** ☞4




**გვახსოვდეს აფხაზეთი...**
**გვახსოვდეს სოხუმი...**
**გვახსოვდეს სამშობლოსათვის დაღუპული გმირები...** ☞5

## დავით კლდიაშვილი - 159

გაისად, 2022 წელს, დავით კლდიაშვილის საიუბილეო წელია. მართალია, წელს კორონავირუსული პანდემიის გამო მისი დაბადების დღის აღნიშვნა ისე ვერ ხერხდება, როგორც ეს თერჯოლას სჩვევია, მაგრამ საგაისოდ—საიუბილეო თარიღისათვის (160 წელი), კორონავირუსული პანდემიის პირობებშიც კი, იქნებ მოვახერხოთ და დავაფუძნოთ დავით კლდიაშვილის სახელობის თეატრალური ფესტივალი და არამარტო დავაფუძნოთ, არამედ ჩავატაროთ კიდეც (იხ. გაზეთი „თერჯოლა“ 2020 წლის 1 სექტემბერი №17 გვ.4 „დავით კლდიაშვილის სახელობისა“)...



კარგი იქნება თუ საგაისო იუბილეზე საქვეყნოდ გაცხადდება ისიც, რომ დიდი მწერლის დაბადების დღე 1862 წლის 28 სექტემბერია (ძველი სტილით 11 ოქტომბერი)!

ვგულისხმობთ იმასაც, ამ განცხადებას შესაბამისი შესწორებები მოჰყვება ყველა სახის (ციფრული, ბეჭდვური) საინფორმაციო სივრცეში, საძიებო კატალოგებში და სხვა სახელმძღვანელო წყაროებში.

იმედი გვაქვს, რომ ჩვენი გაზეთის ეს ორი, მეტად მნიშვნელოვანი წინადადება აუცილებლად განხორციელდება, რაც უაღრესად სასიკეთო მოვლენა იქნება არა მარტო თერჯოლის სინამდვილისთვის.

**„თერჯოლა“**

# ახალ სასწავლო წელს გილოცავთ!



დადგა 15 სექტემბერი, განახლდა სწავლა კერძო და საჯარო სკოლებში. ტრადიციულად, სასექტემბრო ზარები არ დარეკილა, სწავლა ონლაინ რეჟიმში დაიწყო. მანამდე კი სულ უფრო და უფრო მატულობდა დაძაბულობა, მძაფრდებოდა მოლოდინი და ჩნდებოდა კითხვები—რა იქნება, როგორ იქნება, რა ფორმატით დაიწყება ახალი სასწავლო წელი. ამ კითხვებზე პასუხი არა ერთ გარემოებაზე იყო დამოკიდებული.

ზოგადი ეპიდსიტუაცია ქვეყანაში . . .

ვაქცინაცია . . .

საზოგადოების მხრიდან პასუხისმგებლობის დონე . . .

რა მოცემულობა გვაქვს დღეისათვის?

— ზოგადი ეპიდსიტუაცია ქვეყანაში, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ მძიმე რჩება:

ამიტომ, დაავადებათა



კონტროლის ეროვნული ცენტრის რეკომენდაციების შესაბამისად, სწავლა 15 სექტემბერს ონლაინ რეჟიმში დაიწყო, დასწრებით სწავლებაზე კი 4 ოქტომბრიდან გადავალთ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დადებითი მაჩვენებელი 4 პროცენტს ჩამოსცდება, ხოლო ვაქცინირებულთა რაოდენობა 80 პროცენტს გადააჭარბებს.

— სკოლები ყოველმხრივ ემზადებიან ახალი სასწავლო წლისათვის. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინფრასტრუქტურის სააგენტომ ისინი უკვე მოამარაგა თერმომეტრებით, დეზობარიერებით, სადეზინფექციო ხსნარებით, კედლის მექანიკური დისპენსერებით...

— მიღებულია სასწავლო სახელმძღვანელოები, პირველკლასელთა ,,ბუკები“. . .

— განახლებულია ელექტრონული ჟურნალი, რომელიც წელს უკვე სრულად ჩაანაცვლებს სასკოლო მატერიალურ ჟურნალს.

— საზაფხულო არდადეგების პერიოდში გადამზადდა ასობით პედაგოგი.

— მუშავდება სკოლის დირექტორთა და პედაგოგთა განვითარების სქემების ახალი მოდელები.

— გადამზადდნენ და ვაქცინაციის პროცესში ჩაერთვნენ სკოლის ექიმები.

ახალ სასწავლო წელს ჩვენი მუნიციპალიტეტის სკოლებს 350 პირველკლასელი შეემატება.

გასულ წელს კი სკოლა 245 მოსწავლემ დაამთავრა.

მართალია, უჩვეულო სასწავლო წელი გვქონდა, მაგრამ პედაგოგების, მოსწავლეებისა და მშობლების ძალისხმევით მოხერხდა მისი წარმატებულად დასრულება.

სასწავლო პროცესი ძირითადად დასწრებითი სწავლებით მიმდინარეობდა, გარდა რიგი ლოკალური გამონაკლისებისა. 245 კურსდამთავრებულიდან (მათგან, 49 მედალოსანია - 41 ოქრო და 8 ვერცხლი) 177 აბიტურიენტი გვყავდა, რომელთაგანაც 154 - მა სწორედ ამ დღეებში განიცადა სტუდენტობით გამოწვეული სიხარული.

ტრადიციულად, გვყავს გრანტოსნები. მათ შორის 3 - 100%; 3 – 70% და 13 – 50% - იანი.

კერძოდ,

**თათია ჯანგიანი - თერჯოლის №1 საჯარო სკოლა - 100%**

**ანა ძიძიშვილი - თერჯოლის №1 საჯარო სკოლა - 100%**

**ნინო კალატოზი - ჩხარის №1 საჯარო სკოლა - 100%**

**ქრისტინე ბეღელაძე - თერჯოლის №1 საჯარო სკოლა - 70%**

**ანნა კვატაია - სიქთარვის საჯარო სკოლა - 70%**

**ნინო კორტი - ჩხარის №1 საჯარო სკოლა - 70%**

**ანრი კლდიაშვილი - თერჯოლის №1 საჯარო სკოლა - 50%**

**ლიზა ვარდოსანიძე - თერჯოლის №1 საჯარო სკოლა - 50%**

**ლუკა ცერცვაძე - თერჯოლის №1 საჯარო სკოლა - 50%**

**რუსუდან ნიკოლაძე - თერჯოლის №1 საჯარო სკოლა - 50%**

**ლუკა კოვზირიძე - თერჯოლის №2 საჯარო სკოლა - 50%**

**ლუკა მაკარიძე - თერჯოლის №2 საჯარო სკოლა - 50%**

**არმაზ ვაჭარაძე - ზედა საზანოს საჯარო სკოლა - 50%**

**გვანცა ჭანტურიძე - ზედა საზანოს საჯარო სკოლა - 50%**

**დავით ქოჩიაშვილი - ზედა სიმონეთის საჯარო სკოლა - 50%**

**გიორგი ვაშაყმაძე - კვახჭირის საჯარო სკოლა - 50%**

**თეკლა მუმლაძე - სიქთარვის საჯარო სკოლა - 50%**

**მარიამ ქავთარაძე - სიმონეთის №2 საჯარო სკოლა - 50%**

**გიორგი სირბილაძე - ,,მზეკაბანი 2007“ – 50%**

შემთხვევით მინდა ვისარგებლო და საგანმანათლებლო რესურსცენტრის სახელით კიდევ ერთხელ მივულოცო მათ ეს წარმატება და ვუსურვო ნათელი, ჯანმრთელი და ბედნიერი ხვალინდელი დღე.

ასევე მინდა განსაკუთრებით მივესალმო იმ პირველკლასელებს, რომლებიც წელს, მართალია, სიმბოლურად, მაგრამ უდიდესი მოლოდინით, ,,შეაღებენ სკოლის კარებს“.

დაე, ახდენილიყოს მათი იმედები და მოლოდინები.

ახალ სასწავლო წელს გილოცავთ, მეგობრებო!

**ქეთევან შეყრილაძე,**
**საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი**

## უჩვეულო სასწავლო წლის დასაწყისი

შემოდგომის დადგომასა და სასწავლო წლის დასაწყისს განსაკუთრებულად ველოდებით ხოლმე განათლების სფეროს წარმომადგენლები.

მეორე წელია, კოვიდპანდემიამ სამყაროში ყველაფერი შეცვალა... ცოდნის ზეიმი, საზეიმოდ გამოწყობილი გოგო-ბიჭების მხიარული ჟრიამული, გაღიმებული სახეები ენატრება სკოლის დერეფნებსა და საკლასო ოთახებს.

კერძო სკოლა „მზეკაბანი 2007“ ახალ სასწავლო წელს პირველად ხვდება დისტანციურ რეჟიმში, რაც ქვეყანაში არსებული ეპიდსიტუაციითაა განპირობებული. სკოლის ადმინისტრაციამ ყველა ღონე იხმარა, რომ სასწავლო სტარტი იყოს მობილიზებული და მაღალორგანიზებული. მართალია, სასკოლო გარემოს ვერანაირი ონლაინმეცადინეობა ვერ შეედრება, მაგრამ ჯანმრთელობა უპირველესია, ამიტომაც ჩვენც ვითვალისწინებთ საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებას სწავლის დაწყებასთან დაკავშირებით.

ახალ სასწავლო წელს „მზეკაბანი 2007“ 150 მოსწავლითა და 32 თანამშრომლით შეხვდა, რომელთა 80 პროცენტმა ჩაიტარა იმუნიზაცია და მზადაა, ტრადიციულად, საკლასო ოთახებში - გადასცენ ცოდნა მოსწავლეებს.

შევიძინეთ კოვიდრეგულაციისათვის საჭირო ყველა საშუალება, რომ გასული სასწავლო წლის მსგავსად გვქონდეს უსაფრთხო სასკოლო გარემო.

კოლექტივში გვაქვს მატება... „მზეკაბანში“ ძალიან ბევრმა ახალგაზრდამ გადადგა პირველი ნაბიჯები და შემდგომ პროფესიონალ პედაგოგად ჩამოყალიბდა. ტრადიციას არც ამჟამად ვუღალატეთ და რამდენიმე ნიჭიერ ახალგაზრდას მივეცით შესაძლებლობა, რომ ემსახუროს მოსწავლეთა-აღზრდის საქმეს (ამ საკითხზე სხვა დროს უფრო დაწვრილებით მოგითხრობთ).

მინდა საქართველოს ყველა მოსწავლესა და პედაგოგს მივულოცო ახალი სასწავლო წლის დაწყება და ჯანმრთელობა ვუსურვო, უპირველეს ყოვლისა... მშვიდობიანი და ნაყოფიერი წელი ყოფილიყოს, ჩემო კოლეგებო, მოსწავლეებო და ძვირფასო მშობლებო! იმედია, უფლის წყალობით, ეს განსაცდელიც გაივლის და კოვიდპანდემიას, როგორც კოშმარულ სიზმარს, მხოლოდ ასე გავიხსენებთ!

**აზა მემანიშვილი,**
**შპს „მზეკაბანი 2007-ის“**
**ხარისხის მართვის მენეჯერი**

## კვლავ უჩვეულო გარემოში...

გლობალურმა პანდემიამ განათლების სისტემის დღის წესრიგი შეცვალა. სასწავლო პროცესმა უჩვეულო გარემოში, ონლაინსივრცეში, გადაინაცვლა.

2021-2022 სასწავლო წელს სსიპ თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ რუფოთის საჯარო სკოლა 91 მოსწავლითა და 31 თანამშრომლით ხვდება, მათ შორის 21 პედაგოგი. ვაქცინირებულია თანამშრომელთა 70 %. წელს სკოლის კარს შემოაღებს 6 პირველკლასელი, მათ, როგორც ყოველთვის, გადაეცემათ სახელმძღვანელოები და კომპიუტერები.

სასკოლო სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფილია ყველა კლასის მოსწავლე, სტატისტიკურად აღრიცხული გვაქვს, რომ ონლაინ სივრცეში მოსწავლეთა დიდი უმრავლესობა აქტიურად იქნება ჩართული.

მინდა გაუწყოთ ის მნიშვნელოვანი ფაქტი, რომ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით ჩვენს საჯარო სკოლაში აქტიურად მიმდინარეობს სასკოლო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება. სკოლის შენობა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი, კეთილმოწყობილი და ადაპტირებული გახდება. პროექტის ფარგლებში სკოლას, როგორც კოსმეტიკური რემონტი, ასევე გამაგრებითი სამუშაოები უტარდება, ეწყობა ცენტრალური გათბობის სისტემა, ეზო და სპორტული მოედანი. სამშენებლო სამუშაოები ოქტომბრის ბოლოსათვის დასრულდება და მოსწავლეები ახალ, კომფორტულ გარემოში გააგრძელებენ სწავლას.



მინდა მუნიციპალიტეტის ყველა მოსწავლესა და მასწავლებელს მივულოცო ახალი სასწავლო წლის დაწყება! მშვიდობიან და წარმატებულ წელს გისურვებთ, ძვირფასო მოსწავლეებო და კოლეგებო!

**კოტე გოგიაშვილი,**
**რუფოთის საჯარო სკოლის დირექტორი**

# ვინ გახდება თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატი?..

**„თერჯოლის“ 2021 წლის 7 სექტემბრის ნომერში ჩვენ გამოვაქვეყნეთ ინფორმაცია და ცხრილი თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს არჩევნების 10 მაჟორიტარი ოლქისა და მათი საზღვრების თაობაზე. ამჟამად გთავაზობთ იმ კანდიდატთა გვარებს, რომლებიც მაჟორიტარი დეპუტატობის მანდატებისათვის იბრძოლებენ. სიები განთავსებულია მაჟორიტარული ოლქების მიხედვით.**

**P.S. უზუსტობის აღმოჩენის შემთხვევაში გთხოვთ აცნობოთ გაზეთის რედაქციას.**

| მაჟ. ოლქი | კანდიდატის ნომერი | წარმდგენი | სახელი | გვარი |
|---|---|---|---|---|
| 1 | 1 | 1. „მესამე ძალა-სტრატეგია აღმაშენებელი" | ხათუნა | კაკაბაძე |
| 1 | 5 | 5. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" | კობა | კირკიტაძე |
| 1 | 8 | 8. „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი" | ხვიჩა | წკეპლაძე |
| 1 | 25 | 25. გახარია - საქართველოსთვის | ტარიელ | ლილუაშვილი |
| 1 | 41 | 41. ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო | ელისო | მურადაშვილი |
| 2 | 1 | 1. „მესამე ძალა-სტრატეგია აღმაშენებელი" | იპოლიტე | ამბროლაძე |
| 2 | 5 | 5. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" | ამირან | მაკარიძე |
| 2 | 8 | 8. „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი" | მირზა | ხუჯაძე |
| 2 | 41 | 41. ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო | გრიგოლ | გიორგაძე |
| 3 | 5 | 5. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" | მერაბი | ბასილაძე |
| 3 | 41 | 41. ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო | კახაბერ | წივწივაძე |
| 4 | 1 | 1. „მესამე ძალა-სტრატეგია აღმაშენებელი" | მალხაზი | გვენეტაძე |
| 4 | 2 | 2. „ევროპული საქართველო-მოძრაობა თავისუფლებისთვის" | როლანდი | მესხი |
| 4 | 8 | 8. „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი" | ბადრი | ქარქაშაძე |
| 4 | 25 | 25. გახარია - საქართველოსთვის | სულიკო | ზარნაძე |
| 4 | 41 | 41. ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო | გიორგი | ქასრაშვილი |
| 5 | 5 | 5. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" | ფრიდონ | გვენეტაძე |
| 5 | 41 | 41. ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო | გოჩა | ვერულაშვილი |
| 5 | 52 | საინიციატივო ჯგუფი | მამული | კოვზირიძე |
| 6 | 1 | 1. „მესამე ძალა-სტრატეგია აღმაშენებელი" | გია | გეწაძე |
| 6 | 2 | 2. „ევროპული საქართველო-მოძრაობა თავისუფლებისთვის" | მიხეილი | კვატაია |
| 6 | 8 | 8. „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი" | გია | ჩხეიძე |
| 6 | 25 | 25. გახარია - საქართველოსთვის | ბესიკ | ცხადაძე |
| 6 | 37 | 37. „თავისუფალი საქართველო (ზაზა ხატიაშვილი, კახა კუკავა, გრიგოლ ჯოჯუა)" | სანდრო | ლეკვეიშვილი |
| 6 | 41 | 41. ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო | ჯემალი | ისაკაძე |
| 7 | 1 | 1. „მესამე ძალა-სტრატეგია აღმაშენებელი" | გიორგი | იაშვილი |
| 7 | 2 | 2. „ევროპული საქართველო-მოძრაობა თავისუფლებისთვის" | რუსუდან | კოვზირიძე |
| 7 | 25 | 25. გახარია - საქართველოსთვის | კახაბერ | რობაქიძე |
| 7 | 41 | 41. ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო | შალვა | ჭანკვეტაძე |
| 8 | 2 | 2. „ევროპული საქართველო-მოძრაობა თავისუფლებისთვის" | ტარიელი | ფანჩულიძე |
| 8 | 8 | 8. „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი" | ქეთევანი | მემანიშვილი |
| 8 | 25 | 25. გახარია - საქართველოსთვის | დავით | ჯაბიძე |
| 8 | 41 | 41. ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო | ბადრი | ბუცხრიკიძე |
| 9 | 1 | 1. „მესამე ძალა-სტრატეგია აღმაშენებელი" | პეტრე | ჩიქვილაძე |
| 9 | 5 | 5. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" | გელა | გამეზარდაშვილი |
| 9 | 8 | 8. „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი" | თამუნა | გიორგაძე |
| 9 | 9 | 9. „ლელო" | ნათია | უფლისაშვილი |
| 9 | 25 | 25. გახარია - საქართველოსთვის | მიხეილ | ჩუბინიძე |
| 9 | 41 | 41. ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო | დავითი | გოგბერაშვილი |
| 10 | 5 | 5. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" | კონსტანტინე | ზარნაძე |
| 10 | 8 | 8. „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი" | გრიგოლ | არაბიძე |
| 10 | 25 | 25. გახარია - საქართველოსთვის | ბუდუ | ბუიძე |
| 10 | 41 | 41. ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო | მანუჩარი | ფანჩულიძე |
| 10 | 53 | საინიციატივო ჯგუფი | ლია | რობაქიძე |

## თანაბარი და სამართლიანი საარჩევნო გარემოსათვის...

***„თერჯოლის“ მკითხველი მრავალმხრივ არის ინფორმირებული საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებების თაობაზე, ასევე სიახლეებზე.***

***ჩვენ ვთხოვეთ №49 თერჯოლის საოლქო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, ქალბატონ ნაზი სირაძეს გაზეთის მკითხველისათვის მოეთხრო ერთი ასეთი მნიშვნელოვანი სიახლის—ხმის დათვლის პროცესის ვიდეოფიქსაციის და სხვა სიახლეთა შესახებ.***

**ნაზი სირაძე** — უპირველესად იმის თაობაზე, რომ საარჩევნო კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილების შესაბამისად, მიმდინარე წლის 16 სექტემბერს, N49 თერჯოლის საოლქო-საარჩევნო კომისიის სხდომაზე, კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად, წილისყრით გამოვლინდნენ 32 საარჩევნო უბანზე ხმის დათვლის პროცესის ვიდეოფიქსაციაზე პასუხისმგებელი კომისიის წევრები, რომლებიც კენჭისყრის დღეს ზედამხედველობას გაუწევენ ხმის დათვლის პროცესის ვიდეოფიქსაციას.

ამ ეტაპისათვის დასრულდა საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა ტრენინგების მეხუთე ეტაპი.

ტრენინგების ფარგლებში საუბნო კომისიის წევრებმა პრაქტიკულად განახორციელეს კენჭისყრის დღის ეპიზოდური ინსცენირებები:

• საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების მიერ ფუნქციების შესრულება ამომრჩევლებისთვის ხმის მიცემის პროცესში ეპიდემიოლოგიური პროტოკოლის დაცვით მომსახურების უზრუნველსაყოფად;

• ამომრჩეველთა რეგისტრატორი კომისიის წევრების მიერ მონაცემთა და თვლის სიმულაცია;

• საარჩევნო ყუთების გახსნამდე ჩასატარებელი პროცედურა - მთვლელების მიერ ამომრჩეველთა სიებში არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ხელმოწერების გადათვლისა და ამომრჩეველთა სიების დალუქვის სიმულაცია;

• საარჩევნო ბიულეტენების დახარისხების / დათვლის / დალუქვის პროცედურა.

საოლქო-საარჩევნო კომისია კენჭისყრის დღიდან არაუგვიანეს მე-6 დღისა (8 ოქტომბერი), ვალდებულია საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე არსებული საარჩევნო უბნებიდან შემთხვევითი შერჩევითი კომისიის სხდომაზე გამოავლინოს 5 საარჩევნო უბანი, გახსნას ამ საარჩევნო უბნების საუბნო საარჩევნო კომისიებისგან მიღებული პაკეტები და ხელახლა დათვალოს საარჩევნო ბიულეტენები. შემთხვევითი შერჩევით 5 საარჩევნო უბნის გამოვლენის მიზნით საოლქო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ერთი და იმავე ფორმისა და სახეობის ფურცლებზე ერთი და იმავე საწერი საშუალებით წერს შესაბამისი საოლქო-საარჩევნო კომისიის სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული საარჩევნო უბნების რაოდენობის შესაბამის ნომრებს. ყოველი ფურცელი უნდა დამოწმდეს საოლქო-საარჩევნო კომისიის ბეჭდით. ფურცლები ისე იკეცება, რომ შეუძლებელი იყოს მათზე დაწერილი საარჩევნო უბნების ნომრების წაკითხვა. საოლქო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე შევსებულ ფურცლებს ათავსებს გამჭვირვალე ყუთში, საიდანაც სათითაოდ იღებს 5 ფურცელს. გამოვლენილი საუბნო საარჩევნო კომისიის ნომრები არის ხელახლა დასათვლელი საარჩევნო უბნები, რომლებიც აისახება საოლქო-საარჩევნო კომისიის სხდომის ოქმში. საარჩევნო უბნების გამოვლენის მიზნით შესაბამისი პროცედურები ტარდება საოლქო-საარჩევნო კომისიის სხდომაზე შესაბამისი საოლქო-საარჩევნო კომისიის შენობაში, საარჩევნო კომისიის სხდომებზე დასწრების უფლების მქონე პირთა თანდასწრებით.

საოლქო-საარჩევნო კომისია ასევე ვალდებულია გახსნას შესაბამისი საარჩევნო დოკუმენტაცია და ხელახლა დათვალოს კენჭისყრის შედეგები იმ შემთხვევაში, როდესაც საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ შედგენილ კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმში, ისე, რომ მას არ ახლავს შესწორების ოქმი, გადასწორებულია საარჩევნო სუბიექტისთვის მიცემულ ხმათა რაოდენობა, არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა ან / და ბათილად მიჩნეულ საარჩევნო ბიულეტენთა რაოდენობა.

საოლქო-საარჩევნო კომისიამ კენჭისყრის შედეგების ხელახლა დათვლის შესახებ უნდა აცნობოს ყველა საარჩევნო სუბიექტსა და დამკვირვებელ ორგანიზაციას, რომელთა წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ საარჩევნო ბიულეტენების დათვლას საარჩევნო უბანზე, და, მათი სურვილის შემთხვევაში, უზრუნველყოს მათი წარმომადგენლების დასწრება შესაბამისი საარჩევნო უბნის კენჭისყრის შედეგების ხელახლა დათვლის პროცესზე.

აღნიშნული პროცედურის განხორციელებისათის საოლქო კომისიას შერჩეული აქვს ა(ა)იპ თერჯოლის, სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუნიციპალური ცენტრის ადმინისტრაციული შენობის დარბაზი; მისამართი: ქ. თერჯოლა რუსთაველის N103.

***დარწმუნებულები ვართ, რომ საარჩევნო ადმინისტრაცია უზრუნველყოფს საარჩევნო სუბიექტების, ამომრჩევლებისა და საარჩევნო პროცესში მონაწილე სხვა პირებისთვის თანაბარ და სამართლიან საარჩევნო გარემოს.***



# გვახსოვდეს აფხაზეთი—ჩვენი მოუშუშებელი იარა!

27 სექტემბერი გამორჩეულად ტკივილიანი დღეა საქართველოსთვის.

ჩვენ, ქართველებს, არ გვიკვირს ტკივილიანი დღეები. იშვიათია ისტორიის მონაკვეთი, სისხლის ლაქები რომ არ აჩნდეს ჩვენს მიწას ქართულს.

დიახ, ქართულ მიწას ახსოვს, როგორ არ ახსოვს თათარ-მონღოლთა და სხვა ურჯუკ-მტარვალთა ცხენების ნატერფალები...

მაინც გავძელით, მაინც დავუდექით ჟამთა სიავეს.

დასანანია, რომ მზაკვარი მეზობლებისგან წაქეზებულმა სისხლის ნათესავებმაც სამტროდ შემოგვიტიეს.

მძიმეა ამ თემაზე საუბარი...

გამოხდება ხანი და ობიექტური მეისტორიე გულწრფელი სიმართლით მოუთხრობს თაობებს რა და როგორ იყო.

გონიერებისკენ გვინდა მოვუწოდოთ აფხაზ ძმებს.

საერთო მტრის წისქვილზე ნუ დავასხამთ წყალს.

ჩვენ—ქართველებსა და აფხაზებს ერთი და იგივე წესი და ჩვეულება გვაქვს.

ერთ ფუძეზე ვსახლობთ.

საუკუნეებს ახსოვთ ჩვენი ძმობისა და სიყვარულის ამბავი.

წინაპართა სულები მოგვიწოდებენ შერიგებისკენ.

ყური მივუგდოთ, რა გვაქვს გასაყოფი. ეს „ცა-ფირუზ-ხმელეთ-ზურმუხტი“ ჩვენია, წავიდეთ, ცისფერთვალება „რიწასთან“ გავმართოთ დიდი პურობა! ქარს გავატანოთ სამუდამოდ შური და მდურობა!

ერთ სულ და ერთ ხორც ჩვენო აფხაზებო!

* * *

28 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც სოხუმი დაეცა. აფხაზეთი დავკარგეთ, აფხაზეთი „ხელის გულზე დასატევი და ცრემლს რომ ოდნავ აღემატება“.

აფხაზეთის 300 ათასზე მეტი მკვიდრი დევნილად იქცა, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მიმოიფანტნენ. ბევრი საზღვარგარეთ წავიდა ლტოლვილის სტატუსით, მაგრამ ამ წლების განმავლობაში ვერ მოშუშდა იარა, მოგონებები: თოვლიან-ყინულიანი გზა ჭუბერამდე და ჭუბერიდან ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში, შრომით შექმნილი „ურიცხვი ქონების“ დაკარგვა. მართალია, ზოგი რამ წარსულში დარჩა და გაფერმკრთალდა, მაგრამ ბევრი რამ უცვლელია—დევნილებმა ვერ დაივიწყეს მათ თვალწინ დაღუპული უსაყვარლესი ადამიანები, ნაცნობ-უცნობნი, დრომ ვერ გაანელა ეს ტკივილი. ეს ვერც დევნილებმა შეძლეს და ვერც ჩვენ—ყველამ ერთად, სრულიად საქართველომ.

მაშინ, 28 წლის წინ, 600-ზე მეტმა დევნილმა შეაფარა თავი თერჯოლის რაიონს. აქ ნახეს მათ სტუმარ-მასპინძლობის საუკეთესო მაგალითები. ძირითადად კი კურორტი „საპოვნელა“ იყო მათი ნავთსაყუდარი. ბევრი ახალგაზდა აქ დაქორწინდა, მრავალი დაიბადა, პატარები დაიზარდნენ, ბევრმაც აქ დაიდო სამუდამო განსასვენებელი, თერჯოლა პატივს მიაგებს მათ საფლავებს, აქ მცხოვრებთ მეგობრობდნენ, მეზობლობდნენ, გაჭირვებაში ხელს უმართავდნენ.

28 წელია „ოდიშ-აფხაზეთს ერთი მამალი აღარ აღვიძებს“, მაგრამ ცხოვრება გრძელდება დევნილთა ოჯახებში. თერჯოლა მათ მკვიდრ თერჯოლელებად მიიჩნევს...

## თერჯოლაში მცხოვრებ დევნილებს აფხაზეთის მთავრობის მეთაური ეწვია...

**თერჯოლის მუნიციპალიტეტში მიმდინარე წლის აპრილის მდგომარეობით 347 დევნილია. 2012 წლის შემდეგ, მათთვის 118 272 ლარიდან 198 000 ლარამდე გაიზარდა შემწეობებზე სახელმწიფოს მიერ გაწეული ხარჯი და 2013-2021 წლებში (01.04.2021 წ. მდგომარეობით) სულ დაიხარჯა 1 588 683 ლარი. ამავე 2013 წლიდან დღემდე (07.2021 წ. მონაცემებით) განსახლების პროგრამებით თერჯოლაში საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილდა 58 ოჯახი, მათ შორის 44 ოჯახის ბინა გადაეცა ახლადრეაბილიტირებულ კორპუსში, ქალაქ თერჯოლის ცენტრში.**

**პროექტით, „სოფლად სახლი“, სახელმწიფომ 7 დევნილ ოჯახს შეუსყიდა საცხოვრებელი, ხოლო 57 ოჯახს საკუთრებაში დაუკანონა დაკავებული ფართი.**



თერჯოლელი დევნილების აბსოლუტური უმრავლესობა კომპაქტურად ქალაქ თერჯოლის ცენტრში, ყოფილი ცენტრალური საავადმყოფოს ახლადრეაბილიტირებულ კორპუსში ცხოვრობს. სწორედ მათ ეწვია 23 სექტემბერს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე რუსლან აბაშიძე.

მართალია, ბატონი რუსლანი სულ რაღაც 2 წელია, რაც ამ თანამდებობაზეა, მაგრამ მისთვის ეს პირველი სტუმრობა არ იყო თერჯოლაში მცხოვრებ აფხაზეთიდან დევნილებთან. იგი პროფესიონალი დიპლომატია და ამ მხრივ მნიშვნელოვანი გამოცდილება აქვს, დიდი იმედითაა, რომ ჩვენ დავბრუნდებით აფხაზეთში და აცხადებს: **„დღეს მიმდინარე ოკუპაციის მსხვერპლი ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები საზოგადოებაც არის, რომელსაც დიდი საფასურის გაღება უწევს, მათ შორის, კულტურის, ენის, დემოგრაფიის და ნაციონალური იდენტობის ხარჯზე.**

**აფხაზეთის საზოგადოება, როგორც ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები, ასევე იძულებით გადაადგილებული პირები და დევნილები, იმყოფებიან უდიდესი განსაცდელის წინაშე. ამიტომ ყველამ უნდა იგრძნოს თავისი წილი პასუხისმგებლობა, გვეყოს სიძლიერე და არ დავუშვათ მიმდინარე მოვლენების შეუქცევად პროცესებად გადაქცევა.**

**ჩვენს უმთავრესს პრიორიტეტს კონსენსუსზე დამყარებული სამშვიდობო პოლიტიკა წარმოადგენს. სწორედ მშვიდობიანი გზებით ვაპირებთ ნებისმიერი უთანხმოების მოგვარებას, ვინაიდან მშვიდობას ალტერნატივა არ გააჩნია“.**

იმ დღეს, 23 სექტემბერს, ბატონი რუსლანი ადგილზე შეხვდა და ესაუბრა დევნილებს, დაინტერესდა მათი პირობებით, ცხოვრებისეული პრობლემებით და დახმარება-თანადგომა აღუთქვა მათ.

თერჯოლაში აფხაზეთიდან ლტოლვილთა კომპაქტური ჩასახლების საბინაო ამხანაგობა „საპოვნელას“ თავმჯდომარემ, ნანა გელაშვილმა ჩვენთან საუბარში განაცხადა, რომ ხელისუფლებამ ბოლო წლებში მათთვის არაერთი პრობლემა მოაგვარა, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. პირველ რიგში ეს ეხება საბინაო პრობლემას. **„ასე მაგალითად, ბოლო წლებში ჩვენი ამხანაგობის 44 ოჯახს გადაეცა ახლადრეაბილიტირებული საცხოვრებელი ბინა და სხვა, მაგრამ ჯერ კიდევ არიან ოჯახები, რომლეიც საჭიროებენ საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას. „იმედი გვაქვს, რომ ხელისუფლება, ამ შემთხვევაში ჩვენი დღევანდელი სტუმარი, აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარე, ბატონი რუსლან აბაშიძე ამ საქმის მოგვარებისათვის არაფერს დაიშურებს“**—თქვა მან.

**„თერჯოლა“**



## 28 წელი დევნილობაში, ახალი ცხოვრება და მონატრება „ზღვის კალთებზე მოფარფატე თოლიის“

...ორ დიდ ოჯახად ცხოვრობდნენ გულრიფშის რაიონში, ცხოვრობდნენ მშვიდად, ბედნიერად, მდიდრად. ნანა და ბადრი სალუქვაძეები იხსენებენ, რომ ეზოში და ეზოს გარეთ 3000 მეტრ მიწის ნაკვეთზე ციტრუსების პლანტაცია ჰქონდათ, 30-35 ტონა ციტრუსს ჰყიდდნენ, ოჯახის წლიური შემოსავალი 60 000 ლარს შეადგენდა. ჰქონდათ გემოვნებით მოწყობილი სახლი, ზღვასთან ძალიან ახლოს. იქვე ახლოს ცხოვრობდნენ ნანას მშობლები ვახტანგ და თათუშა მუმლაძეები, ისინიც გამართულად, თავდაუზოგავად შრომობდნენ და საჭიროების დროს ნაცნობ-მეგობრებისათვის ხელის გამართვა წესად ჰქონდათ.

ყოველ შობა-ახალ წელს ვახტანგ და თათუშა მუმლაძეების ხუთი შვილის შთამომავლობა ერთად იკრიბებოდნენ, კლავდნენ დიდ ღორს, ქართულ ტრადიციებს მეგრულ-აფხაზურსაც ურევდნენ: ჩიჩილაკი, მეფეხე, თოფის სროლა, მეზობლების გადაპატიჟება—გადმოპატიჟება, უხვი სუფრა, აუცილებელი შაქარ-ყინული და ალილო...

მერე იყო აფხაზეთის ომი, მძიმე და ეკლიანი გზა გულრიფშიდან ჭუბერამდე, ჭუბერიდან თბილისამდე, მოგვიანებით ისევ თავის მოყრა, ოღონდ არა შობა-ახალწლის ზეიმზე, სავარაუდო ადგილსამყოფელის ერთმანეთში გაცვლა და „დაფანტვა“. მუმლაძე-სალუქვაძეებსაც გამოუჩნდათ ნაცნობები, ნაცნობების ნაცნობები და ასე იყო თუ ისე, სიქთარვაში მოხვდნენ...

ოჯახის ერთი შვილი დათო სიქთარვაში ცოტა გვიან ჩამოვიდა, გულმა ახლობელი ადამიანებისაკენ გამოუწია, მერე ოჯახი შექმნა სიქთარველ მეუღლესთან ერთად და ახლა სამ შვილს ზრდის. ნანას და ბადრის ორი შვილი—მარიკა და ლევანი აქ შეეძინათ, წლინახევრის მალხაზი თან ჩამოიყვანეს.

მუმლაძე-სალუქვაძეებს უყვართ სიქთარვა, შეიყვარეს მეზობლები, ჩვენც შევიყვარეთ ეს კარგი ხალხი, ჭირი და ლხინი ერთი გვაქვს.

### ოჯახის წევრთა მატება, სიღარიბის დაძლევა, მაგრამ მაინც მონატრება

...ხუთნი იყვნენ სიქთარვაში რომ დაიდეს ბინა, შრომობდნენ, ქმნიდნენ, უჭირდათ, მაგრამ გაუძლეს. მათი ცხოვრება ასე აეწყო: რამდენიმე ოჯახად ცხოვრობენ. უფროსებმა: ვახტანგმა და თათუშამ ზესტაფონში ბინა მიიღეს დევნილთა დასახლებაში, დათო ოჯახით ჯერ კიდევ სხვის სახლში ცხოვრობს, მალხაზი ნაქირავებშია, ლევანიც... მარიკამ ოჯახი შექმნა... ნანამ და ბადრიმ სახლი შეიძინეს სიქთარვაში, მაგრამ ვალები დღემდე მოჰყვებათ... იმედიანად არიან, დარწმუნებულები, რომ დღეს იქნება თუ ხვალ სახელმწიფო დაეხმარებათ.

ოცდარვა წელი დევნილობაში ბევრია და ძნელი, მაგრამ კარგა ხანია შეეჩვივნენ სიქთარვას, მეზობლებს, სოფელსაც უყვარს ეს მშვენიერი, მშვიდი და უწყინარი, მომხმარე და გვერდში მდგომი ადამიანები, სტუმარი მათთვის ყველაზე სასურველია და ხშირად ჰყავთ კიდეც, ტრადიცია ოჯახის „გაფანტული“ წევრების შეკრებისა ჯერ არ დარღვეულა... საოცარი სანახავია მაშინ ეს ფუძე, დიდი სუფრა იშლება, დიასახლისები ამბობენ, რომ შეითვისეს აქაური ტრადიციები და შეუთავსეს აფხაზურს...

დიახ, ხუთნი იყვნენ 1993 წელს რომ ჩამოვიდნენ და ახლა, ჯერჯერობით ჩვიდმეტნი არიან, არ მიგვითვლია სხვა ქალაქებში მცხოვრები კიდევ სამი ძმა და მათი შთამომავლობა. ერთი წლის წინ, ოჯახმა უფროსი წევრი—ვახტანგი დაკარგა, ჩვეული პატივი მიაგო ოჯახმა და ჩვენც მეზობლებმა, მეგობრებმა.

„აფხაზეთში დაბრუნება, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაა ჩვენი ოცნება, ძნელი იქნება იმ სოფლის დატოვება, სადაც ჩვენ, უფროსებმა, ნახევარი ცხოვრება, მთელი ოცდარვა წელი გავატარეთ, აქ დაბადებულ-შემომატებულმა კი მთელი ცხოვრება, მაგრამ მაინც დაბრუნება ჯობია, სიქთარვა კი იქნება ჩვენი მეორე ადგილის დედა, რომელსაც არ მივატოვებთ“, ხშირად ამბობენ მუმლაძე-სალუქვაძეები და აუცილებელ კითხვას დასვამენ—თქვენც ხომ გვესტუმრებით?

ოღონდაც! მანამდე კი ამ მშვენიერ ხალხს დახმარება სჭირდება, საკუთარი ჭერი ამ ფუძის თითოეულ ოჯახს.

**ჟუჟუნა ცხადაძე**

# გვახსოვდეს აფხაზეთი—ჩვენი მოუშუშებელი იარა!



საქართველოს დამოუკიდებლობის, თავისუფლებისა და ერთიანობისათვის დაღუპულთა მემორიალი ამშვენებს თერჯოლის ერთ კუთხეს. აქ ხშირად მიდიან ადამიანები და პატივს მიაგებენ მათ ხსოვნას. იხსენებენ მათი ცხოვრების ეპიზოდებს.

სამშობლოს თერჯოლამაც მისცა ყველაზე ძვირფასი—ადამიანი. აი ისინი: **დევიძე ვალერი, ბრეგვაძე კახაბერი, ბუცხრიკიძე მალხაზი, სახელაშვილი ელგუჯა, თავბერიძე რამინი, კაპანაძე გიორგი, ჭანტურიძე ანდრია, სოფრომაძე ტრისტანი, სულამანიძე ალექსანდრე, ობოლაძე გოჩა, მორჩაძე დავითი, გიორგაძე გოჩა, ლელაძე ბესარიონი, გაბრიჭიძე ფრიდონი, ლაბაძე ჯაბა, ბარდაველიძე ალია, გოგნაძე ვალერი, ბასილაძე ბადრი, სახელაშვილი გიგა, სოფრომაძე უშანგი (შმაგი).** ამ ჩამონათვალში უმეტესობა აფხაზეთშია დაღუპული.

27 სექტემბერს, ჯვართამაღლების დღეს ამ მემორიალთან ტრადიციულად შეიკრიბნენ ომის ვეტერანები, აფხაზეთიდან დევნილთა წარმომადგენლები, ახალგაზრდები, რათა კიდევ ერთხელ პატივი მიეგოთ სამშობლოსათვის დაღუპულთა ხსოვნისათვის.

მემორიალთან ცოცხალი ყვავილების გვირგვინი მიიტანეს თერჯოლის მერობის კანდიდატმა **ლაშა გოგიაშვილმა** და საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა **ელისო მურადაშვილმა**.

შეკრებილ საზოგადოებას მიესალმა და ჯვართამაღლების დღესასწაული მიულოცა ლაშა გოგიაშვილმა, შემდეგ ისაუბრა აფხაზეთის დაცემის მტკივნეულ ფაქტზე, ქართველი ხალხის, მათ შორის თერჯოლელთა თავგანწირვასა და გმირობაზე... „მათი სახელები უკვდავია და საქართველო არასოდეს დაივიწყებს მამულისათვის თავდადებული ვაჟკაცების ხსოვნას“—აღნიშნა მან.

აფხაზეთის ომის სავალალო შედეგებზე, დაღუპულთა სახელებს მარადიულ ხსოვნასა და პატივისგებაზე გაამახვილა ყურადღება ომის ვეტერანმა, ომისა და შეიარაღებული ძალების თადარიგის პოლკოვნიკმა **გია ლილუაშვილმა**. მან მიმართა ახალგაზრდებს, რომ არასოდეს დაივიწყონ აფხაზეთი და დაღუპულთა სახელები.

გმირთა მემორიალთან სიტყვა წარმოთქვა აგრეთვე საქართველოს ვეტერანთა კავშირის წარმომადგენელმა **ირაკლი ლომიძემ**.

## „მე ცხოვრება ისევ მეძნელება“

**ვლადიმერ ჭანტურიძემ** მეუღლესთან, ქეთევანთან ერთად, ოთხი შვილი აღზარდა: ანდრია, პაატა, გვანცა, ლევანი. მშობლები და ბებია-ბაბუა,



თანაბრად იღებდნენ მონაწილეობას მათ აღზრდაში, ყველაფერი ღირსეული მისცეს მათ, უნერგავდნენ ოჯახის, მეგობრის, მეზობლის, სოფლის, სამშობლოს სიყვარულს. ვნახოთ ვინ იყო ანდრია ჭანტურიძე, ოჯახის პირველი შვილი და შვილიშვილი.

### ანდრია

გერმანიაში მოიხადა სავალდებულო სამხედრო სამსახური, პოსტდამში დაამთავრა უმცროს მეთაურთა სკოლა, იყო უფროსი სერჟანტი. დემობილიზაციის შემდეგ მუშაობა დაიწყო თერჯოლის შ/ს განყოფილებაში. 1992 წელს ჩაირიცხა პოლიციის უმაღლეს სკოლაში, იმყოფებოდა სახელმწიფო დაცვის სამსახურში. სხვა კურსანტებთან ერთად ანდრია აფხაზეთის ომში გაიწვიეს, იგი პირველი შეტაკებისთანავე დაიღუპა გაგრის მისადგომებთან, სოფელ კოლხიდასთან.

ანდრია ჭანტურიძე სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის მესამე ხარისხის ორდენით და მიენიჭა სპეციალური წოდება—პოლიციის ლეიტენანტი.

ანდრია 21 წლის იყო. ახლა ორმოცდაცხრის გახდებოდა შემოჯარული იქნებოდა შვილებში, შესაძლოა შვილიშვილებშიც.

### რამ შეამსუბუქა ოჯახის ტრაგედია

ანდრიას მამა, ბატონი ვლადიმერი იგონებს—დეიდასთან ვიყავი ბორჯომში, გადაცემა „ქვიშის საათში“ ითქვა—აფხაზეთში მსხვერპლიაო. „ისეთი ბედი მაქვს ერთიც რომ იყოს დაღუპული, ჩემი იქნებაო“.

მისი აღმოჩნდა! „ჩემს გვერდით დადგა მთელი რაიონი, ჭირდა მაშინ, ძლივს მოვაწესრიგეთ საფლავი, იმ ადამიანების დიდი ნაწილი, რომელიც მუდამ მეხმარებოდა დღეს ცოცხალი აღარაა, სამარადისო ნათელი მათ ხსოვნას. ხალხმა და მათმა გვერდში დგომამ, შვილებმა და შვილიშვილებმა შემიმსუბუქეს ტრაგედიაო—თქვა ლადომ.

### ლადოს გულის ჯიბეში...

ჩამოასვენეს ანდრია და ჩამოიტანეს მისი ნივთები, ტანსაცმელი და სისხლიანი პოლიციის მოწმობა. დღემდე გულის ჯიბეში უდევს ლადოს ეს მოწმობა. იცვლის ტანსაცმელს და გადააადგილებს ამ მოწმობასაც.

ოჯახს ტრაგედიას უმსუბუქებს ანდრიას გმირობისა და თავდადების მაგალითები, საფლავი და მისი მოვლა ამსუბუქებს ტკივილს, სიცოცხლეს ლადო და ქეთევანი სხვა შვილებისა და შვილიშვილებისათვის აგრძელებენ, ტკივილს თან სდევს სიამაყე, რომ თერჯოლის ცენტრში არის ანდრია ჭანტურიძის სახელობის სკვერი, რომ ერთ-ერთი ქუჩა მისი სახელობისაა.

## თერჯოლას ახსოვს თავისი მამაცი შვილი ზურაბ არაბიძე

ან...

როგორ არ უნდა ახსოვდეს—მაღალი, თითქოს მკაცრი სახე ჰქონდა, მაგრამ სიკეთით იყო სავსე. ენერგიული და კომპეტენტური ჯარისკაცული აკურატულობით აკეთებდა თა-



ვის საკეთებელ საქმეს. საქმე კი მას, როგორც თერჯოლის მუნიციპალიტეტის ვეტერანთა კავშირის თავმჯდომარეს, უამრავი ჰქონდა. ერთ დროს საინტერესო ცხოვრებისეული გზა განვლო:

მოკლედ მოგითხრობთ: სოფელ რუფოთში დაიბადა 1962 წლის 29 მაისს, მშრომელი კაცის იუზა არაბიძის ოჯახში. საშუალო განათლების მიღების შემდეგ ქუთაისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მიიღო ინჟინერ-მექანიკოსის სპეციალობა, ხოლო სამართლისა და ეკონომიკურ უნივერსიტეტში—სამართალმცოდნეობის სპეციალობა.

შემდეგ იყო სამსახურები: ქუთაისის შსს ცენტრალური აპარატი; საფიჩხიის პოლიციის განყოფილების უფროსი; თერჯოლის შს განყოფილება; საგზაო პოლიციის უფროსი; ადმინისტრაციის პოლიციის უფროსი; უბნის ინსპექტორთა სამსახურის უფროსი; „ჯი-პი-სი“ დაცვის უფროსი; სოკარ-ჯორჯია-პეტროლიუმი—უსაფრთხოების ინსტრუქტორი.

ცალკეა ომის თემა. ფახაზეთი — საქართველოს მთლიანობისათვის საბრძოლო ოპერაციები; თავი გამოიჩინა, როგორც მამაცმა და ნიჭიერმა სამხედრო მეთურმა, ჭრილობისგან განკურნებისთანავე რამდენჯერმე მოუწია ცეცხლის ხაზზე დაბრუნება. მიღებული ჰქონდა საბრძოლო ჯილდო, ფლობდა მაიორის სამხედრო წოდებას...

თერჯოლაში მოღვაწეობის მოკლე მონაკვეთში საზოგადოებას, ომის ვეტერანებს თავი დაახსომა, როგორც მაღალი ზნეობის მოქალაქემ, მინდობილი საქმისადმი მაღალი პასუხისმგებლობის მქონე პირმა.

გვჯერა მისი შვილები ლაშა და გიორგი იქნებიან წარმატებული მოქალაქეები და ღირსეულად გააგრძელებენ მამისეული ოჯახის ტრადიციებს.

**ნ. გამყრელიძე**

## თერჯოლელები საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის

საზანოველი **მალხაზ ჯანგიანი** სამხედრო-სავალდებულო სამსახურში იყო, ქუთაისის მოტომსროლელ ბა-



ტალიონის რიგებში ირიცხებოდა. მონაწილეობდა ოჩამჩირის, ტამიშის, სოხუმის ბრძოლებში. მიღებული აქვს ჭრილობები. მალხაზი მაშინ ოცი წლის იყო, ახლა ორმოცდასამი წლისაა. ჰყავს მეუღლე და სამი შვილი. მისი ცხოვრების პატარა არქივში არის ერთი დახასიათება, რომელშიც ვკითხულობთ „ჯანგიანი გამოირჩევა როგორც დისციპლინებული და თავაზიანი ჯარისკაცი, ბრძანებებსა და მითითებებს ასრულებს სწრაფად და ხარისხიანად, მორალურად სანდოა, ცეცხლმსროლელ იარაღს ფლობს სრულყოფილად, ისვრის კარგად“.

ალისუბნელი **გოდერძი ბუცხრიკიძე** სამხედრო-სავალდებულო სამსახურში გაწვევამდე იმ სკოლაში მუშაობდა, რომელიც დაამთავრა. 1992 წელს სამხედრო-სავალდებულო სამსახურში გაიწვიეს, მსახურობდა შავნაბადას ბატალიონში, რომელსაც გენერალი კობა კობალაძე მეთაურობდა. გოდერძი იხსენებს 1993 წლის 2 ივლისს, როცა მტერმა ზღვიდან და ხმელეთიდან დესანტი გადმოსხა, უთანასწორო ბრძოლაში ბევრი დაიღუპა, გოდერძი დაიჭრა. ოპერაცია სოხუმში გაუკეთეს, შემდეგ თბილისში მკურნალობდა. გოდერძი ცოლშვილიანია, ორი შვილი ჰყავს.

თუზელი **დავით მაჩიტიძე** 1991 წელს გაიწვიეს ეროვნული გვარდიის პირველ ნაკადში. მონაწილეობდა თბილისის სამოქალაქო ომში, იცავდა საქართველოს პირველ პრეზიდენტს. 1992 წელს ქუთაისის პირველ ბატალიონში გადაიყვანეს. მეთაურს გელა ცინაძეს სიყვარულით იხსენებს. ეს ბატალიონი 1992-93 წლებში იბრძოდა აფხაზეთში, მერკურსა და ტამიშში, იცავდა სოხუმს.



დავითი ყუმბარმტყორცნის ყუმბარით მხარში დაიჭრა, მკურნალობდა ქუთაისში. დავითი იხსენებს უახლოესი ფრონტელი მეგობრის, შმაგი შალამბერიძის დაღუპვას, შმაგი მეგობრებმა ხელით ჩაასვენეს ხონში „ეს იყო ჩემთვის ყველაზე დიდი სტრესიო“—თქვა დავითმა.

დავითი ცოლშვილიანია.

**ჟუჟუნა ცხადაძე**

**(გაზეთ „თერჯოლის“ არქივიდან)**

# ვინ გახდება თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატი?..

ვაქვეყნებთ №49 თერჯოლის საოლქო-საარჩევნო კომისიაში 2 ოქტომბერს, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ასარჩევად პარტიული სიებით რეგისტრირებული კანდიდატების სიას. №49 თერჯოლის საოლქო-საარჩევნო კომისიამ ასარჩევ კანდიდატთა სია რეგისტრაციაში სულ გაუტარა 11 საარჩევნო სუბიექტს.

ეს საარჩევნო სუბიექტებია:

№ 1 „მესამე ძალა“
№2 „ევროპული საქართველო მოძრაობა თავისუფლებისთვის“
№5 „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“
№8 „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი—საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“
№9 „ლელო“
№10 „შალვა ნათელაშვილი-საქართველოს ლეიბორისტული პარტია“
№25 გახარია-საქართველოსათვის
№36 „გირჩი“
№37 თავისუფალი საქართველო (ზაზა ხატიაშვილი, კახა კუკავა, გრიგოლ ჯოჯუა)
№41 ქართული ოცნება—დემოკრატიული საქართველო
№45 ზურაბ გირჩი ჯაფარიძე: გირჩი-მეტი თავისუფლებისთვის




2 ოქტომბრის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს საკრებულოსა და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის არჩევნების №49 თერჯოლის საოლქო-საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებული პარტიული სიები.

P.S. უზუსტობის აღმოჩენის შემთხვევაში გთხოვთ გვაცნობოთ გაზეთის რედაქციას.

## № 1 „მესამე ძალა“

1. პეტრე ჩიქვილაძე
2. ხათუნა კაკაბაძე
3. იპოლიტე ამბროლაძე
4. გიორგი იაშვილი
5. მალხაზი გვენეტაძე
6. მადონა დევიძე
7. გია გეწაძე
8. ჯაბა რიჟამაძე
9. ნათია გიგაშვილი
10. მამია დოგრაშვილი
11. გიორგი რიჟამაძე
12. ზაირა დოგრაშვილი
13. მირიან კუბლაშვილი
14. ზურაბი აბულაძე
15. ნესტანი კუპატაძე
16. ემზარი ფოცხვერაშვილი
17. ეთერ წითელაშვილი
18. ნარი კაპანაძე
19. მაკა რაზმაძე
20. ლალი კლდიაშვილი
21. მაია ჩაფიჩაძე
22. ეკა კუბლაშვილი
23. მაკა კურტანიძე

## №2 „ევროპული საქართველო მოძრაობა თავისუფლებისთვის“

1. ლევანი კვატაია
2. რუსუდან კოვზირიძე
3. ტარიელი ფანჩულიძე
4. როლანდი მესხი
5. სოფიკო სიუკაევა
6. მიხეილი კვატაია
7. ტარიელ ხოხიაშვილი
8. თორნიკე სულამანიძე
9. ელისო სახელაშვილი
10. ზვიადი გიორგაძე
11. მარეხი ნიკოლაძე
12. ვახტანგ ჩარკვიანი
13. ვლდიმერი ხუციშვილი
14. მარინა ბადუაშვილი
15. ლაშა ჭელიძე
16. ზურაბი რობაქიძე
17. მარინე ლანჩავა
18. ჯუმბერი ბლიაძე
19. დავითი არაბიძე
20. მადონა რობაქიძე
21. მამუკა შალამბერიძე
22. ვლადიმერ თურქაძე
23. ილონა ხელაია
24. ჯუმბერი ცქიფურიშვილი
25. ალიმი აბულაძე
26. ია დოლაკიძე
27. მალხაზი კირკიტაძე
28. ქრისტინე ჯაილავა
29. ოთარი ალალიძე
30. ეკა მაჩალაძე

## №5 „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“

1. კახა ბუცხრიკიძე
2. რამინი რობაქიძე
3. თამარ ახვლედიანი
4. ამბერკი დოლაკიძე
5. დავითი ცხადაძე
6. ნატალია ასათიანი
7. კობა კირკიტაძე
8. ფრიდონ გვენეტაძე
9. ანა ჩიხლაძე
10. მირიან გეწაძე
11. ამირან მაკარიძე
12. ნათია ბუცხრიკიძე
13. კონსტანტინე ზარნაძე
14. მერაბი ბასილაძე
15. მირანდა დოღონაძე
16. მევლუდი აბჟანდაძე
17. მამუკა მაკარიძე
18. ელისო ბუცხრიკიძე
19. გელა გამეზარდაშვილი
20. დავით ჭუმბურიძე
21. ჟანა გოშაძე
22. ბადრი ნიკოლაძე
23. შალვა ზარნაძე
24. ხათუნა კურტანიძე
25. ზაზა კვინიკაძე
26. რომანი კუბლაშვილი
27. ენდი შალამბერიძე
28. კახა გვენცაძე

## №8 „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი—საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“

1. ხვიჩა წკეპლაძე
2. დავით გავაშელაშვილი
3. ქეთევანი მემანიშვილი
4. მურადი კუბლაშვილი
5. გრიგოლ არაბიძე
6. თამუნა გიორგაძე
7. ბადრი ქარქაშაძე
8. ვალერიანი ქავთარაძე
9. ლალი გვარამაძე
10. გია ჩხეიძე
11. თეკლა თევდორაძე
12. მირზა ხუჯაძე
13. დავით გვენეტაძე
14. ნათია წკეპლაძე
15. გოგა არაბიძე
16. სოფიკო ფორჩხიძე
17. მზევინარ მემანიშვილი
18. ფრიდონ აბჟანდაძე
19. თეა სამანიშვილი
20. ფრიდონ გიორგაძე
21. თინათინ არდაზიშვილი
22. ციალა გოგოჭური
23. გიორგი ალავერდაშვილი

## №9 „ლელო“

1. ვლადიმერი მაკარიძე
2. არსენი აბჟანდაძე
3. თამთა ბიწაძე
4. დავით ნიკოლაძე
5. ალექსანდრე კახიძე
6. ნათია უფლისაშვილი
7. თამილა კახიძე
8. ფიქრია წურწუმია
9. ბონდო აბჟანდაძე
10. მაგდა ხობუა
11. მაია ჯიბლაძე
12. დავით თურქაძე
13. მანანა ჩაფიჩაძე
14. ნანა ლიკლიკაძე
15. ავთანდილ ჩაფიჩაძე
16. ნანული კახიძე
17. ნუნუ ჩუბინიძე
18. გია ლიკლიკაძე
19. ნელი გოგსაძე
20. ლიანა ბარდაველიძე
21. მალხაზ ლაღიძე
22. ლელა ზარნაძე
23. თამუნა ლიკლიკაძე

## №10 „შალვა ნათელაშვილი-საქართველოს ლეიბორისტული პარტია“

1. ვლადიმერ მაჩიტიძე
2. ფრიდონი ასათიანი
3. ანა კუპატაძე
4. ნინო გიორგაძე
5. მედეა კუცია
6. დავით თურქაძე
7. ნათია კუპატაძე
8. ივეტა ქათამაძე
9. ლევან ფანჩულიძე
10. თეონა მესხი
11. ნათია ჩაფიძე
12. ირაკლი გვენეტაძე
13. მამუკა გვენეტაძე
14. თამარი ზარნაძე
15. ანა მატკავა
16. ხათუნა ფეიქრიშვილი
17. ქრისტინე ქირია
18. ზვიადი ბუცხრიკიძე
19. გიორგი კორკოტაშვილი
20. იზო გიგაშვილი
21. რობერტი არაბიძე
22. თამუნა რობაქიძე
23. იური გუგუმბერიძე
24. მერაბ ფართლაძე

## №25 გახარია-საქართველოსათვის

1. ივანე ჩუბინიძე
2. ტარიელ ლილუაშვილი
3. მირანდა თორთლაძე
4. ბუდუ ბუიძე
5. ბესიკ ცხადაძე
6. თამუნა აზნარაშვილი
7. კახაბერ რობაქიძე
8. დავით ჯაბიძე
9. სულიკო ზარნაძე
10. მიხეილ ჩუბინიძე
11. მალხაზი უკლება
12. ნათია ლილუაშვილი
13. სპარტაკი ქემოკლიძე
14. ზვიადი კვანტიძე
15. ნათია ბარბაქაძე
16. ავთო ჩუბინიძე
17. რამიზი ბუცხრიკიძე
18. ქეთევანი შავგულიძე
19. დავით რობაქიძე
20. პაპუნა ამირანაშვილი
21. ლია არეშიძე
22. ავთანდილი გაბრიჭიძე
23. დათო ფორჩხიძე
24. სალომე კახიძე
25. ბექა ლილუაშვილი
26. გურამი რობაქიძე
27. ნათია ჩუბინიძე
28. ვალერი გოშაძე

## №36. „გირჩი“

1. ირაკლი ქოჩიაშვილი
2. ნონა ბასარია
3. ნინო კუხალეიშვილი
4. ოთარ ძანძავა
5. ნონა ჭაფანძე
6. ნუნუ ტაბაღუა
7. უშანგი კილაძე
8. გულნაზ შონია
9. ოლგა ქარცხია
10. ლერი უზარაშვილი
11. სოფიო ცანავა
12. ლარისა ჩანგელია
13. ირაკლი ანდღულაძე
14. ნინელა გოგოხია
15. ინგა ნაყოფია
16. მირიან კობახიძე
17. ნინო ფულარიანი
18. თეთრიკო ხარებავა
19. მათე ლილუაშვილი
20. ნელი ბულია
21. ლიანა გოგია
22. მევლუდი ჭუმბურიძე
23. მედეა გაბუნია
24. სოფიო ჯოჯუა

## №37 თავისუფალი საქართველო (ზაზა ხატიაშვილი, კახა კუკავა, გრიგოლ ჯოჯუა)

1. სანდრო ლეკვეიშვილი
2. თამარ კვიტატიანი
3. კარლო ლეკვეიშვილი
4. ქეთინო ჩაჩხიანი
5. ვალია წარიტოვი
6. ლაშა ჯმუხაძე
7. ნანული ჯანგოიანი
8. ნინო ჯმუხაძე
9. დავითი გელენიძე
10. ნინო მითაგვარია
11. ლია პატარკაცაშვილი
12. ტატო ურუშაძე
13. ნატო სამხარაძე
14. თეონა უმეკაშვილი
15. გიორგი ოგიენკო
16. მარიამი ბენიძე
17. დარეჯან აბულაძე
18. გიგა აბულაძე
19. ნანული ოგიენკო
20. ნინო თამაზაშვილი

## №41 ქართული ოცნება—დემოკრატიული საქართველო

1. გიორგი ბარათაშვილი
2. ამირან ვერულაშვილი
3. ნინო ჩხიკვაძე
4. თემური ქოჩიაშვილი
5. ლაშა გურგენიძე
6. იზა მაგრაქველიძე
7. ბიძინა ბუცხრიკიძე
8. კობა კაცაძე
9. ნინო მახათაძე
10. ომარი ჯიხვაშვილი
11. სერგი ჯიხვაშვილი
12. ეკა ბერძენიშვილი
13. მამუკა ბერეკაშვილი
14. ლადო ხვარეშია
15. ნინო ოქრუაძე
16. დიმიტრი გურგენიძე
17. ზურაბი ლომთაძე
18. დიანა ფოცხვერაშვილი
19. სოსო რობაქიძე
20. ნუგზარ ფანჩულიძე
21. იზა კობახიძე
22. დავითი გოგბერაშვილი
23. ბადრი ბუცხრიკიძე
24. ელისო მურადაშვილი
25. შალვა ჭანკვეტაძე
26. მანუჩარი ფანჩულიძე
27. მაკა ქოჩიაშვილი
28. ჯემალი ისაკაძე
29. გოჩა ვერულაშვილი
30. თამარი მიხელიძე
31. გიორგი ქასრაშვილი
32. კახაბერ წივწივაძე
33. მარიკა ქველიძე
34. გრიგოლ გიორგაძე

## №45 ზურაბ გირჩი ჯაფარიძე: გირჩი-მეტი თავისუფლებისთვის

1. ცოტნე გიორგაძე
2. გიორგი ბუცხრიკიძე
3. ნინო გუგეშიძე
4. უჩა ოღიაშვილი
5. ავთანდილ ლომიძე
6. გუგული წულუკიძე
7. დავით გაგუა
8. ნიკა გარბანელიძე
9. ნინო გალდავა
10. თამაზ კონცელიძე
11. მიხეილ ვარდოშვილი
12. ნათია ზარქუა
13. ლაშა ვეფხვაძე
14. ლევან ზარიძე
15. თამარი კობალაძე
16. რამაზ დარჩიძე
17. ნიკოლოზ ჯინჭარაძე
18. ნათია ბაჟუნაიშვილი
19. თორნიკე კობახიძე
20. სოსლან ზანდარაძე

# საშემოდგომო თემა—რთველის სურნელი
## (მცირე ლექსიკონი)

**რთველი—ვენახში ყურძნის კრეფა. ყურძნის კრეფის დრო.**

**ზვარი—სადაც გაშენებულია ვენახი.**

**საწნახელი—ყურძნის საწური დიდი ხისაგან დამზადებული ჭურჭელი.**

**მაჭარი—ახლად დაყენებული, დაუდუღარი ღვინო.**

**მარანი—ღვინის დასაყენებელი და შესანახი ადგილი.**

**ქვევრი (ჭური)—ღვინის შესანახი დიდი თიხის ჭურჭელი.**

**თაგვისარა—ბუჩქ-ბალახა ეკლიანი მცენარე, რომელიც გამოიყენება ქვევრის (ჭურის) სარეცხად.**

**სარცხი—გრძელ ტარზე ასხმული ოთკუთხედებად დაჭრილი ბლის ქერქისაგან დამზადებული ქვევრის სარეცხად.**

**აყალო—მიწა, რომელიც გამოიყენება ქვევრის (ჭურის) საფარად.**



**ორშიმო—ეგ.წ. „მწარე კვახისაგან“ გაკეთებული გრძელტარიანი ჭურჭელი ქვევრიდან ღვინის ამოსაღებად.**

**აკიდო—ვაზის მოკლედ აჭრილი მრავალმტევნიანი რქა.**

**ლერწი—ვაზის ერთწლიანი რქა.**

**მტევანი—ვაზის ყვავილედი.**

მესმის ამ განმარტებების საჭიროება მკითხველს გააოცებს, იქნებ გამკილონ კიდეც, მაგრამ ნუ ამიჩქარდებით, ყველაფერს განგიმარტავთ:

მოგეხსენებათ, დრო ელვის სისწრაფით გარბის. იცვლება ბუნება, იცვლებიან ადამიანები. ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში შემოჭრილი ტექნოლოგიური პროცესები თავიანთ პრინციპებს გვთავაზობენ და... გვაიძულებენ დავმორჩილდეთ მათს ნებას!

დღეს ჩვენს ნორჩ თაობას მკაცრი მეცნიერული ზედამხედველობის ქვეშ უწევს ზრდა-განვითარება-განათლება. კომპიუტერის „შემოჭრამ“ ძირფესვიანად შეცვალა ზრდა-განვითარების საუკუნეობით ნატკეპნი გზა და ბილიკები.

დღეს ჩვენი, ჯერაც „მიწასარაცდენილი“ პატარები, ლამის ლაპარაკის დაწყებასთან ერთად სწავლობენ კომპიუტერთან „მუშაობას“...

რაღაცნაირად იცვლება ადამიანთა ყოფიერების გარე სამყარო!

ჩვენს, ასე ვთქვათ ჭარმაგასაკოვან თაობას სულ უფრო და უფრო უჭირს „სისხლში გამჯდარი“ ყოფის, ადათებისა და წესების შენარჩუნება.

ოცდამეერთე საუკუნე, როგორც ფიზიკოსები იტყვიან ხოლმე—„თანაბარაჩქარებული“ ნაბიჯებით აგრძელებს მეცნიერების ლაბირინთებში „ქექვას“...

ოცდამეერთე საუკუნე არყევს პლანეტას!

ამ ფონზე მართლაც ღიმილის მომგვრელია კალმის მონასმი, რომლითაც მიამიტად მინდა მკითხველი დავაჯერო, რომ წინამდებარე „ლექსიკონით“ რაღაც სასარგებლო საქმეს ვაკეთებ!

# პოლიტიკური სვეტი

**კანონი**—აუცილებელი, არსებითი, მყარად განმეორებადი ურთიერთობანი მოვლენათა შორის. სახელმწიფო ძალაუფლების უმაღლესი ორგანოს ნორმატიული აქტი, რომელიც კონსტიტუციის მიერ დადგენილი წესითაა მიღებული.

**კონსტიტუცია**—სახელმწიფოს ძირითადი კანონი, რომელიც განსაზღვრავს საზოგადოებრივსა და სახელმწიფო წყობილებებს, საარჩევნო სისტემას, სახელმწიფო ორგანოების შექმნისა და მოქმედების პრინციპებს, მოქალაქეთა ძირითად უფლება-მოვალეობებს.

**საარჩევნო სამართალი**

1. იურიდიული ნორმების ერთობლიობა, რომლებიც არეგულირებენ მოქალაქეთა მონაწილეობას ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნებში, არჩევნების ორგანიზაციას და ჩატარებას, ამომრჩეველთა და წარმომადგენლობით დაწესებულებათა ურთიერთობას.

2. მოქალაქეთა უფლება აირჩიონ ორგანოები (აქტიური საარჩევნო უფლება), იყვნენ არჩეულნი ორგანოებში. საარჩევნო უფლება უზრუნველყოფს ამომრჩეველთა ნება-სურვილის თავისუფალ გამოვლინებას.

**საარჩევნო სისტემა**—შეიცავს საარჩევნო სამართლის ძირითად პრინციპებს, აგრეთვე დეპუტატთა კანდიდატების წამოყენების უფლებას და წესს.

# ახალი სტრიქონები

— მარად შუბლშეჭმუხნული, გაუცინარი ადამიანები კლავენ ენთუზიაზმს, სიყვარულს, იმედს და ა.შ.

— გულითადად მოკითხვის შემდეგ ყოველი ავი გავიწყდებათ და ბედნიერდებით.

— ადამიანები სიტყვით აცოცხლებენ ერთმანეთს და... (არ ვიტყვი!)

— ხშირად თვითონვე უნდა შევუძახოთ თავს—ნუ ჩამოყარე ყურები, ყველაფერი კარგად იქნება!

— სულელებს რაში ადარდებთ ჭკვიანები რას ლაპარაკობენ მათზე.

— ყველაზე მეტად ძუნწები უჩივიან წუთისოფელს.

— თუ რაიმეს შექმნას გადაწყვეტთ, ჯერ განწყობა უნდა შეიქმნათ.

—ადამიანში ადამიანის პოვნა თუ გვინდა—ადამიანის თვალებით უნდა ვეძებოთ.

— მიწა რომ მიწაა—დასვენება მასაც სჭირდება.

# ლექსიკონში შესატანი

**არჩევნები**—შედგება ორი სიტყვისაგან **არჩევის-ნება**

შინაარსობრივი დატვირთვა ასეთია:

ადამიანების პოლიტიკური, ორატორული, ინტელექტუალური, ზოგადად—ცხოვრებისეული და ა.შ. მახასიათებლების გამოვლინება.

გარდა ამისა, ის გვახსენებს, რომ „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ“.

**მასალა მოამზადა**
**ᲜᲣᲒᲖᲐᲠ ᲒᲐᲛᲧᲠᲔᲚᲘᲫᲔ**

**გაზეთ „თერჯოლის“ №17-ში გამოქვეყნებული „გამოცადეთ თავი“-ს პასუხები:**
დაბლიშვილი, ჩხეიძე, მამულაშვილი, ჩოჩია, კვირკველია, ხოშტარია, შენგელია, ადამაშვილი, ხოსიტაშვილი, თარხნიშვილი, ინგოროყვა, დედაბრიშვილი, ქუჩუკიშვილი, რაზიკაშვილი, ჩოფიკაშვილი.

**გაზეთ „თერჯოლის“ №17-ში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:** 1. არჩევნები 2. ადვოკატი 3. დეპუტატი 4. კონსტიტუცია 5. მერი 6. სახელმწიფო 7. კვორუმი 8. აგიტაცია 9. სამშობლო 10. პატრიოტი 11. დიპლომატი 12. დროშა 13. კოდექსი 14. ბიულეტენი 15. უფლება 16. ოქმი 17. მისია 18. სისტემა19. ალტერნატივა 20. კომპრომისი 21. რეფერენდუმი 22. თერჯოლა 23. არჩევნებზე 24. სიკეთეს

# ხსოვნა კაცისა
## დავით მაკარიძე



ორმოცი დღე გავიდა მას შემდეგ, რაც საყვარელ ოჯახს, თერჯოლის საზოგადოებას, სამეზობლოსა და სამეგობროს გამოეთხოვა დავით (დათო) მაკარიძე. მას ჯერ კიდევ დიდხანს უნდა ეცოცხლა. მოჰფერებოდა და მზრუნველობა არ მოეკლო თავისი ლამაზი ოჯახისათვის... დასანანია, რომ განგებამ ასე არ ისურვა.

დათო მაკარიძე თერჯოლაში დაიბადა 1959 წელს. თერჯოლაშივე დაამთავრა საშუალო სკოლა.

წესისამებრ მოიხადა სამხედრო-სავალდებულო სამსახური, შემდეგ იყო ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი, თბილისის სახელმწიფო სპორტის აკადემია.

დათო მაკარიძემ ჯერ კიდევ იმ პერიოდიდან (გ.ს. 90-ინ წლები) გააცნო თავი საზოგადოებას, როცა სრულიად ახალგაზრდა კაცი დაბა თერჯოლის თვითმმართველობას ედგა სათავეში.

შემდეგშიც, სადაც მოუწია საქმიანობა, სრულად ავლენდა თავის უნარსა და შესაძლებლობებს.

მეუღლესთან, ქალბატონ ლალა კუპატაძესთან, შვილებთან (მარიამი, ნანო, გიორგი) ერთად ქმნიდა ზნეკეთილ და შრომისმოყვარე ოჯახს.

გულწრფელად ვუსამძიმრებთ. მათი ტკივილი ჩვენი ტკივილიც არის.

დათო მაკარიძის ხსოვნას მარად შევინახავთ. ნათელში იყოს მისი სული.

**ᲐᲮᲚᲝᲑᲚᲔᲑᲘ**

# დედა...
## იზოლდა (იზო) კლდიაშვილი-ბარდაველიძის ხსოვნას

ორმოცი დღე გასრულდა, რაც ამქვეყნიურ ცხოვრებას გაეყარე... დაგვტოვე წყნარად, ყოველგვარი კვნესა-ტირილის გარეშე, ისე როგორც შენს პიროვნებას, შენს სიძლიერეს,შენს ქალობას რომ ეკადრებოდა და ნებისმიერ გასაჭირში მყოფს დაწუწუნებაც რომ არ გჩვეოდა მცირედიც...

აქეთ გვამშვიდებდი მაშინაც კი, როცა 29 წლის წინ, შემდეგ კი სულ რაღაც ორ წელში, ორი—ჩვენთვის უძვირფასესი ადამიანი, ჩვენი მამა, შენი თანამეცხედრე ჯემალ ბარდაველიძე და ჩვენი გამზრდელი ბებია თამარ კლდიაშვილი დავკარგეთ...

ვერ გამოდგა დრო მაშინ მოყენებული ტკივილის მკურნალი, ვერც ახლა, შენი გარდაცვალებით მიღებული წუხილი დაგვიამდება ოდესმე...

ისღა დაგვრჩენია თქვენი მონატრება თქვენს საფლავებთან მოსვლით, სანთლების ანთებით და მოსაგონარის წარმოთქმით გამოვხატოთ თქვენს შვილიშვილებთან ერთად...

იძინეთ მშვიდად... თქვენს კეთილშობილ სახელებს არასოდეს არ შევარცხვენთ...

**ᲠᲝᲛᲐᲜ და ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙ ᲑᲐᲠᲓᲐᲕᲔᲚᲘᲫᲔᲔᲑᲘ ოჯახით**

გაზეთ „თერჯოლის“ რედაქციის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ ბორის, სოსო, გია და ლაშა გოგიაშვილებს მეუღლისა და დედის
**ᲜᲐᲜᲣᲚᲘ ᲩᲐᲤᲘᲩᲐᲫᲘᲡ**
გარდაცვალების გამო.

თერჯოლის №3 ბაგა-ბაღის კოლექტივი იუწყება ყოფილი თანამშრომლის
**ᲟᲣᲟᲣᲜᲐ ᲒᲐᲑᲠᲘᲐᲫᲘᲡ**
გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

თერჯოლის №1 საშუალო სკოლის 1992 წლის კურსდამთავრებულები მწუხარებით იუწყებიან თანაკლასელის
**ᲕᲐᲚᲔᲠᲘ ᲤᲐᲜᲩᲣᲚᲘᲫᲘᲡ**
გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

თერჯოლის №3 ბაგა-ბაღის კოლექტივი სამძიმარს უცხადებს მაკა და როლანდი მაჩიტიძეებს მამამთილისა და მამის
**ᲜᲣᲒᲖᲐᲠ ᲛᲐᲩᲘᲢᲘᲫᲘᲡ**
გარდაცვალების გამო.

სსიპ თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა სიმონეთის დავით კლდიაშვილის სახელობის საჯარო სკოლის დირექცია, პედაგოგები და ტექნიკური პერსონალი იუწყებიან რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი პედაგოგი, ყოფილი კოლეგა
**ᲛᲐᲠᲘᲜᲔ ᲒᲕᲔᲜᲔᲢᲐᲫᲔ**
და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

თერჯოლის №3 ბაგა-ბაღის კოლექტივი თანაგრძნობას უცხადებს მაია და მინდია რობაქიძეებს მამისა და სიმამრის
**ᲒᲘᲕᲘ ᲒᲣᲠᲔᲨᲘᲫᲘᲡ**
გარდაცვალების გამო.

თერჯოლის №3 ბაგა-ბაღის კოლექტივი სამძიმარს უცხადებს ლია და ზაზა ლილუაშვილებს მამამთილისა და მამის
**ᲕᲘᲢᲐᲚᲘ ᲚᲘᲚᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ**
გარდაცვალების გამო.

გაზეთ „თერჯოლის“ რედაქცია სამძიმარს უცხადებს ელზა ბოჭორიშვილს და გოჩა მემანიშვილს მამამთილისა და მამის
**ᲕᲐᲟᲐ ᲛᲔᲛᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ**
გარდაცვალების გამო.

# მშვიდობა გქონდეთ თქვენს მყუდრო ძილში...

*ბოლო პერიოდში 15 სექტემბერი თითოეული ადამიანისათვის ნამდვილი ზეიმი იყო. განსაკუთრებით ხარობდნენ მოსწავლეები, მასწავლებლები, მოსწავლეთა მშობლები. ამ დღეს მარტო პირველკლასელების კი არა უფროსკლასელთა მშობლები და კურსდამთავრებულებიც კი მიდიოდნენ სკოლებში. თვალსა და გულს ახარებდა ლამაზად ჩაცმული გოგო-ბიჭების დანახვა, ეცვათ ყველაფერი ახალი, გამორჩეული და თითოეულის გემოვნების შესაბამისი ან ერთიანი სასკოლო ფორმა, ხვდებოდათ, შეიძლება ძველი, მაგრამ გაკრიალებული საკლასო ოთახები...*

*ვითარება შეიცვალა, პანდემიამ შეცვალა სასწავლო წესები. წელს სასწავლო წელი კვლავ ე.წ. „ონლაინ“ რეჟიმში დაიწყო, ოქტომბერში კი შესაძლოა მოსწავლეები ისევ მერხებს მიუსხდნენ, დასწრებითი სწავლება დაიწყოს.*

*ორივე შემთხვევაში გოდოგნის, ეწრის, ბარდუბნის, ღვანკითის საჯარო სკოლებში, კერძო სკოლა „მზეკაბანში“ პედაგოგები და მოსწავლეები გაიხსენებენ ამ ქვეყნიდან ადრე წასულ დირექტორებს: ნანა ამბროლაძეს, დათო არაბიძეს, რამაზ ბარდაველიძეს, ინეზა ზამთარაძეს, ნინელი გვენეტაძეს და პატივს მიაგებენ მათ ნათელ ხსოვნას.*

*მძიმედ განიცადეს სულ რაღაც სამ წელიწადში, ხუთი პატივსაცემი და გამორჩეული ადამიანის ამ ქვეყნიდან წასვლა, არა მარტო ამ სკოლების პედაგოგებმა და მოსწავლეებმა, პედაგოგიურმა საზოგადოებამ, არამედ ყველამ, ვინც მათ იცნობდა და ადვილი წარმოსადგენია წლების განმავლობაში ასეთ აღმზრდელ-პედაგოგებს და დირექტორებს რამდენი იცნობდა.*

*ჩვენც გავიხსენოთ ისინი...*

## ნანა ბეღელაძე-ამბროლაძე

ნანა წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა გოდოგნის საჯარო სკოლას,



გამორჩეულად კარგი ხელმძღვანელი იყო—მომთხოვნი, საჭირო დროს დამთმობი, სიკეთით და სიყვარულით სავსე, ადამიანების მიმართ გულითადი დამოკიდებულება ჰქონდა, იგი დააკლდა არა მარტო ოჯახს, არამედ ყველას, ვინც იცნობდა. წავიდა და დატოვა საყვარელი სკოლა, მოსწავლეები, პედაგოგები და მშვენიერი ოჯახი. ნანა ამაყობდა ამ ოჯახით, რომელსაც მეც კარგად ვიცნობ. ვმეგობრობ ნანას მეუღლეს—გოჩას, ვმეგობრობდი გოჩას მამასთან... დღემდე მახსოვს ნანას და გოჩას ქორწილი, ჩვენთვის, მეგობრებისათვის უცნობი და გამორჩეული თამადა. ქორწილი გვიან ღამემდე გაგრძელდა, მეორე დღეს კვირა იყო და ისევ მივედით—არ გათენებულა, რამ გადაგრიათ, ჭიქა-საინის დარეცხვა მაინც „გეცლიათო, თქვა ისე, ვითომ თვითონ „გადარეული“ არ იყო, მგონი საჩუქარი არც მიგვიტანია, გოჩამ იცოდა რისი მქონებლებიც ვიყავით, მაგრამ ნანასი რატომ არ შეგვრცხვა, მიკვირს.

წელს პირველად დაიწყო ახალი სასწავლო წელი ნანას გარეშე. სამწუხაროა, მაგრამ ცხოვრება ტკივილითა და მონატრებით, მაინც გაგრძელდება გოჩას ოჯახში, თუნდაც იმიტომ, რომ შთამომავლობას გადაეცეს—ვინ იყო ნანა.

## დათო არაბიძე

უყვარდა სკოლა, სოფელი, სამეგობრო და განსაკუთრებით ბავშვები, საინტერესო ღონისძიებები ტარდებოდა მისი აქტიური მხარდაჭერით, უყვარდათ და პატივს სცემდნენ მოსწავლეები. ერთმანეთთან დაახლოებული პედაგოგები ერთი მიზნისათვის იბრძოდნენ და ეს ახარებდა დირექტორს, აქ იშვიათად სჭირდებოდათ მითითება-რეკომენდაციები, ერთიანი, ძლიერი კოლექტივი შენარჩუნდა, ესაა, დათო აკლიათ. მეც დამაკლდა დათო, როგორც გაზეთთან დაახლოებული და კარგი სათანამშრომლო დირექტორი, ამასთან იგი იყო ნარგიზ ურიადმყოფელის მეუღლე. მე და ნარგიზი ერთ განყოფილებაში ვმუშაობდით





წლების განმავლობაში, მართალია „სობესელებისათვის“ დათოს არ უკითხავს, ქალი ისე წაიყვანა, მაგრამ ჩვენი მხრიდან, „გაკითხული“ გვყავდა.

დათოს კარგი ბიჭები დარჩა, მამას არ შეარცხვენენ, მათ ძლიერი დედა უდგათ გვერდში, თავადაც იციან მამის ფასი.

დათო ძალიან ადრე წავიდა, მაგრამ სიკვდილიც რჩეულებზე „ნადირობს“. გვახსოვხარ! „სობესის სიძე“.

## რამაზ ბარდაველიძე

ჩუმი, მოკრძალებული და საქმიანი, ტელეფონზე საუბრისას გრძნობდი მისდამი პატივისცემას, პირისპირ მითუმეტეს. ავადმყოფობდა, მაგრამ სკოლა, ბავშვები და გაკვეთილები თითქოს უხანგრძლივებდა სიცოცხლესაც და ბრძოლის ჟინს უძლიერებდა. რამაზი უყვარდათ ბარდუბანში, პედაგოგიურ საზოგადოებაში. საქმის მცოდნე და განათლებული იყო, სკოლის საქმიანობაში ღრმად გარკვეული. რამაზის გარდაცვალებამ დღემდე მწუხარებაში დატოვა სკოლა, პედაგოგები, მოსწავლეები, მთელი სოფელი, მაგრამ ვაი, რომ ძალიან მალე, სხვა უარესი განსაცდელი ახლოვდებოდა—რამაზის უფროსი შვილი მარიამი ავადმყოფობიდან რამდენიმე დღეში გარდაიცვალა. პირველად ითქვა მაშინ —ბედნიერი ხარ-ო რამაზ, მარიამიც კი, მძიმე ავადმყოფობის დროს ამ სიტყვებს ამბობდა თურმე. რამაზის ღირსეული მეუღლე და მარიამის დედა ქალბატონი აზა გატეხა მეუღლის და შვილის ერთ წელიწადში გარდაცვალებამ, მაგრამ სულით არ გატეხილა—გარდაცვლილებს პატივისცემა სჭირდებათ, კიდევ ორი შვილის კეთილდღეობაზე ზრუნვა აძლიერებს.

## ინეზა ზამთარაძე



გამორჩეული გარეგნობის იყო, სულით და ხორცით ლამაზი. დაწყებითებს ასწავლიდა, საუკეთესო ღონისძიებებს ატარებდა, მრავალჯერ დავსწრებივარ მისი მეოთხეკლასელების გამოშვებას და მოსწავლეები სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ საკითხების გარდა, ისეთ თემებზე საუბრობდნენ, ერთხელ ღონისძიებაზე, დარბაზში, კითხვაც კი დაისვა—თქვენ ეს იცოდით? პირველკლასელთა მშობლებს უხაროდათ თუ ინეზასთან მოხვდებოდა მათი შვილი, ათეულობით ნორჩ თაობას შეაყვარა დედაენა და მშობლიური სკოლა, ბევრი გამორჩეული აღუზრდია ამ სკოლას და ეს ინეზას დამსახურებაცაა, რადგან პირველდაწყებითი განათლება საძირკველია, ათეული წლები შენდება და დუღაბდება ეს საძირკველი. მერე სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე გახდა, მერე დირექტორი.

კარგი გამოცდილების მქონე კარგი ხელმძღვანელიც აღმოჩნდა, მაგრამ ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობაში ბოლომდე ვერ გამოსცადა საკუთარი თავი. ინეზას დარჩა დიდი და ძლიერი ოჯახი, აქ მისი ხსოვნის ნათელი მუდამ იქნება, თავად ინეზა კი სასუფეველში.

## ნინელი გვენეტაძე

„მზეკაბანი“ პირველი კერძო სკოლაა მთელს მუნიციპალიტეტში, ნინელი გვენეტაძემ პირველმა შეძლო შეექმნა ძლიერი კერძო სკოლა, რომელმაც პირველსავე წელს მიიღო ავტორიზაცია და მალე გახდა ერთ-ერთი მოწინავე, დამხმარე თითქმის არავინ ჰყავდა, თვითონ მიაღწია წარმატებებს, შემოიკრიბა ერთგული და კვალიფიციური თანამშრომლები, ღირსეული პედაგოგები, ყოველ წელს იზრდებოდა მოსწავლეთა რიცხვი, მშობელთა ინტერესი, რადგან ყველა აბიტურიენტი სტუდენტი ხდებოდა, ძირითადად გრან-



ტით და უფასო ფაკულტეტებზე.

ნინელის ბავშვობიდან ვიცნობდი, ერთ-ერთ ბანაკში, სადაც პიონერხელმძღვანელად ვმუშაობდი, მერვეკლასელი ნინელიც იყო. მერე ცხადაძეების რძალი გახდა, მერე ცნობილი პედაგოგი და დირექტორი. მზეკაბანის მოსწავლეების მიერ ჩატარებული ღონისძიებები საუკეთესო და გამორჩეული იყო, თვითონ კი საინტერესო მოსაუბრე, მოსწავლეები შვილებივით უყვარდა, სკოლის თუ უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგაც ინტერესდებოდა მათი ცხოვრებით, გული არასოდეს ტკენია, თითოეული მისი აღზრდილი ღირსეული მოქალაქეა.

მოულოდნელი იყო მისი ავადმყოფობა, მისი შვილის მიერ მომზადებული სპექტაკლის ჩვენებისას არაფერი ეტყობოდა. მალე გარდაიცვალა. დღესაც ჯავრიანი და მოწყენილია არა მარტო მისი ოჯახი და მზეკაბანი, არამედ ყველა, ვისაც იცნობდა.

*სკოლის დირექტორები: ნანა ბეღელაძე, დათო არაბიძე, რამაზ ბარდაველიძე, ინეზა ზამთარაძე და ნინელი გვენეტაძე ახლა იქედან, უფლის წიაღიდან მოგვიწოდებენ, რომ გვიყვარდეს ერთმანეთი, გვიყვარდეს ყველაფერი ამაღლებული, ღირსეული, მართალი და პატიოსანი.*

*პასუხად კი, მათი საფლავები ხშირად იფარება ხასხასა ყვავილებით, ხშირად მიდიან ახლობლები, მეგობრები, მათ სახელებს დავიწყების ჩრდილი არ გადაეფარება სანამ სკოლა და განათლება, სანამ ბავშვები და მასწავლებლები იქნებიან, ეს კი მარადიულად იქნება.*

*მშვიდობით იყავით თქვენს მარადისობასთნ, თქვენს სიჩუმესთან, თქვენს მყუდრო ძილში...*

**ᲟᲣᲟᲣᲜᲐ ᲪᲮᲐᲓᲐᲫᲔ**

**ᲨᲞᲡ „ᲗᲔᲠᲯᲝᲚᲐ“**

გამომცემელი
**ᲕᲐᲚᲔᲠᲘᲐᲜ ᲒᲝᲒᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ**
**599 92 49 75**

მთავარი რედაქტორი
**ᲓᲐᲕᲘᲗ ᲙᲚᲓᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ**
**599 91 24 14**

**ᲡᲐᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲝ ᲙᲝᲚᲔᲒᲘᲐ**

რეგისტრაციის №53/5/ბ-22
გამოდის თვეში ორჯერ

კორესპონდენტები:
ნ. გამყრელიძე—555 78 08 55
ი. მარუაშვილი—0(491) 22 15 16
ჟ. ცხადაძე—558 90 82 55
მ. ცქიფურიშვილი—555 28 11 41

ელ-ფოსტა: **gazetiterjola@mail.ru**

აიწყო და დაკაბადონდა რედაქციის კომპიუტერულ ცენტრში
**ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ:**
ქ. თერჯოლა, კოსტავას ქუჩა №2
დაიბეჭდა ქუთაისის შპს „ხომლი ენ“-ის სტამბაში
ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ. №33

ჩვენი რეკვიზიტები:
„ლიბერთი ბანკი“
LBRTGE22,
ანგარიში
GE32LB0113133960124000
ს/კ 231948872